

საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადება

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობას 2010-2012 წლებში ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაღალი შეფასება მისცეს. 2010 წლის ადგილობრივი და განვლილი საპარლამენტო არჩევნების მედიაგარემოს ანალიზისას (იხ. ეუთოს სადამკვირვებლო მისიის 2010 და 2012 წლის შეფასებები) გამოიკვეთა, რომ ქართული ტელემედიიდან ერთადერთი საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობდა მაყურებელს დაბალანსებულ და მიუკერძოებელ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობა ეფექტური და მაღალპროფესიული მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში არ ყოფილა - 2012 წლის მაისიდან ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში ხორციელდება ქართული მედიის გრძელვადიანი მონიტორინგი, რომელიც სავარაუდოდ 2014 წლის დასაწყისამდე გრძელდება. ამ ავტორიტეტულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა ყველაზე მკაფიოდ გამოირჩეოდა ობიექტურობითა და ბალანსით.

ამ შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდა მაღალპროფესიული, გრძელვადიანი თრენინგების საფუძველზე, რომელსაც მაუწყებელში ბოლო 3 წლის მანძილზე ახორციელებდნენ BBC, CFI, EBU, MEMO-98 და სხვა საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული ჟურნალისტური ორგანიზაციები.

მიღწევები და მიღებული გამოცდილება საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააძლიეროს და განავითაროს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება, მაყურებელს შესთავაზოს ახალი პროექტები და მაუწყებლობის ახალი ბადე.